ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი № 25

ქ. თბილისი

22.09.2017

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

**გრიგოლ მურღულია** - ფილოლოგიის დოქტორი, შპს „ამერიკულ-ქართული განათლების ცენტრის" დამფუძნებელი და დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;

**თამარ ფხალაძე** - ა(ა)იპ - საქართველოს საპატრიარქოს წმინდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის სკოლის წამყვანი სპეციალისტი, ისტორიკოსი, საბჭოს მდივანი.

**რევაზ აფხაზავა** - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი;

**გიორგი გიგიბერია** - ა(ა)იპ - ფონდ „საერთაშორისო განათლების ცენტრის" პროგრამების მენეჯერი;

**ქეთევან აბულაძე** - სსიპ - ქალაქ თბილისის #126 საჯარო სკოლის დირექტორის მოადგილე;

**თამარ კაპანაძე** - სსიპ - თბილისის კლასიკური გიმნაზიის დირექტორი;

**გიორგი გახელაძე** - სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების სკოლის მოწვეული პროფესორი;

**მარინა უშვერიძე** - PH International საქართველოს ოფისი, სამოქალაქო განათლების პროგრამის დირექტორი;

2. **სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:**

**თამარ ხატიაშვილი** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი.

3. **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:**

1. შპს ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმი;
   ინეზა იამანიძე, დირექტორი;
2. ა(ა)იპ კავკასიის ფრანგული სკოლა:

   ან დელესკიევიჩი- დირექტორი;

   თამარ ლომიძე - დირექტორის ასისტენტი;
3. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი;

   ნათია ქაჯაია- იურისტი;

   მანანა ჯავახიშვილი - სასწავლო პროცესის კოორდინატორი;

   ეკატერინე თორთლაძე - საქმეთა მმართველი;
4. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემია:

   მაია დუდაური - დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

   ნატო ზარნაძე - დირექტორის მოადგილე პროფესიული განყოფილების დარგში;

4. **სხვა დამსწრე პირები;**

ქეთევან ციხისელი - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი;

5. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში- ექსპერტები):

ნოდარ ანგურიძე;

ნანა ედიშერაშვილი;

მაკა ნადარეიშვილი;

ლიანა კობესაშვილი;

მაკა ნადარეიშვილი;

ნინო ფეტვიაშვილი;

იანინა გიგიბერია;

ქეთევან ბოტკოველი;

მიხეილ სამხარაძე;

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გრიგოლ მურღულია.

სხდომა გაიხსნა 14:05 საათზე, საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა საბჭოს წევრთა რაოდენობა. და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან ესწრება საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნაზე რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისაგან.

**სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:**

1. შპს ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

2. ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

3. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა, რაზეც ცენტრის წარმომადგენელმა, თამარ ხატიაშვილმა უპასუხა, რომ ცენტრში შემოსული იყო წერილები, შპს ეროვნული სკოლა ლიდერის წარმომადგენლის მიერ ავტორიზაციის გაუქმების მოთხოვნის შესახებ და შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის N 32 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვასთან დაკავშირებით. სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა ზემოთ აღნიშნული საკითხების განხილვის დღის წესრიგში დამატების საკითხს.
კენჭისყრის შედეგები: მომხრე 8, წინააღმდეგი 0.

საბჭომ ერთხმად დაამტკიცა შეცვლილი დრის წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. შპს ეროვნული სკოლა ლიდერის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;

2. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის N 32 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.

3. შპს ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

4. კავკასიის ფრანგული სკოლის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

5. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

6. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

**1. შპს ეროვნული სკოლა ლიდერის ავტორიზაციის გაუქმების საკითხის განხილვა;**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტმა, თამარ ხატიაშვილმა, საბჭოს წევრებს გააცნო 2017 წლის 6 სექტემბერს, შპს ეროვნული სკოლა ლიდერის დირექტორის, ალდია არჩვაძის ცენტრში შემოსული წერილი (N 1022738), რომლის თანახმად, შპს ეროვნულ სკოლა ლიდერს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 26 აგვისტოს N 32 გადაწყვეტილებით მინიჭებული ჰქონდა სრული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი, დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სწავლის განხორციელების მიზნით. სკოლის ფინანსური მდგომარეობიდან გამომდინარე, სკოლის წარმომადგენლები ვეღარ ახორციელებდნენ ფუნქციონირებას, რის გამოც ითხოვდნენ ავტორიზაციის გაუქმებას.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ კენჭისყრაზე დააყენა შპს სკოლა ლიდერის ავტორიზაციის გაუქმების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

შპს სკოლა ლიდერის დირექტორის 2017 წლის 6 სექტემბრის, სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შემოსული წერილის (N 1022738) და დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე - 11 მუხლის მე - 2 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ეროვნულ სკოლა ლიდერს (ს/კ: 406029916) გაუუქმდეს ავტორიზაცია.

**2. შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის N 32 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხის განხილვა.**

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორის, ქეთევან ციხისელის განცხადებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ დაწესებულებებთან ცენტრიდან გაიგზავნა საერთო სარეკომენდაციო წერილი ავტორიზაციის გადაწყვეტილებებში კრედიტების დაკორექტირებასთან დაკავშირებით. აქედან გამომდინარე, შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ადმინისტრაციამ მისწერა ცენტრს, რომ შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის N 32 გადაწყვეტილებაში იყო ტექნიკური შეცდომა, რის შესწორებასაც ითხოვდა დაწესებულება. კერძოდ, ბუღალტრის მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში 32 კრედიტის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 31, ხოლო მცენარეების დამამზადებლის (სამკურნალო, არომატული) მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში 36 კრედიტის ნაცვლად უნდა ყოფილიყო 35 კრედიტი.

ცენტრის წარმომადგენლის, ქეთევან ციხისელის თქმით, ცენტრი ეთანხმებოდა დაწესებულების მოთხოვნას გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები საკითხთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის ავტორიზაციის შესახებ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 10 თებერვლის N 32 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის საკითხი

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63 - ე მუხლის საფუძველზე, შევიდეს ცვლილება „შპს წმინდა დიმიტრი ყიფიანის სახელობის მრავალპროფილიანი სკოლა-კოლეჯის (ს/კ205083112) ავტორიზაციის შესახებ“ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 12 დეკემბრის №144 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების მე - 2 პუნქტით გათვალისწინებული დანართი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კველიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ოფისის მენეჯერი (მდივან-რეფერენტი) | III | ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |
| 2 | მცენარეების დამამზადებელი (სამკურნალო, არომატული) | III | მცენარეების დამამზადებელის (სამკურნალო, არომატული) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 35 |
| 3 | კბილის ტექნიკოსი | III | კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |
| 4 | ინტერნეტ-ტექნოლოგი | III | ინტერნეტ-ტექნოლოგის (ვებ-სპეციალისტი) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |
| 5 | ბუღალტერია | III | ბუღალტერის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 31 |

3. **შპს ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმის** ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

სკოლის წარმომადგენელმა, ინეზა იამანიძემ საბჭოს წევრებს 22.09.2017 - ში მის მიერ ცენტრში შემოტანილი განცხადების საფუძველზე მიმართა, რომ შპს ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერისუბნის ლიცეუმის ცენტრის მიერ ავტორიზაციის მაძიებლად ცნობის შემდეგ, ექსპერტთა ვიზიტამდე მან წარადგინა ერთ-ერთი ექსპერტის აცილების განაცხადი, რომელიც ცენტრმა დააკმაყოფილა და ცენტრის დირექტორის მიერ გამოიცა ახალი ბრძანება, რომლითაც ექპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შევიდა ცვლილება, ასევე შეიცვალა ვიზიტის თარიღიც. ახალი ბრძნებით დადგენილ დროს ავტორიზაციის ვიზიტი განხორციელდა და დაიწერა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა.

სკოლის წარმომადგენლის თქმით, ახალი ბრძანება მას არ ჩაბარებია ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე  და 58-ე მუხლებში გაწერილი პროცედურების და წესების შესაბამისად. ამიტომ, სკოლის წარმომადგენელი თვლიდა, რომ აღნიშნული ვიზიტის შედეგად შედგენილი დასკვნა უნდა ყოფილიყო ბათილად ცნობილი, რადგან ცენტრის დირექტორის მიერ გამოცემული ინდაქტი არ იყო ძალაში შესული. სკოლის წარმომადგენელი ითხოვდა განხორციელებული ვიზიტის ბათილად ცნობას და ახალი საავტორიზაციო ვიზიტის ჩატარებას.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ საბჭოს წევრებს მიმართა, კენჭისყრის შედეგად მომავალ სხდომამდე გადადებულიყო საკითხის განხილვა და ცენტრთან დააყენა შუამდგომლობა საკითხის შესასწავლად იურისტების ჩართვისა და  გამოკვლევის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

საბჭოს გადაწყვეტილებით, სკოლის წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, შპს ინეზა იამანიძის საავტორო კერძო სკოლა ვერის უბნის ლიცეუმის (ს/კ404537391) ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადაიდო, ცენტრის მიერ, განცხადებაში მითითებული გარემოებების დამატებითი მოკვლევის ჩატარებამდე.

4. ა(ა)იპ - **კავკასიის ფრანგული სკოლის ავტორიზაციის** საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტ მაკა ნადარეიშვილის განცხადებით, კავკასიის ფრანგული სკოლა თავისი საქმიანობით ეფუძნებოდა 2017 წლის 30 აგვისტოს საქართველოს მთავრობის № 1827 განკარგულებას (საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობასა და საქართველოს მთავრობას შორის, კავკასიის ფრანგული სკოლის დაფუძნებისა და საქმიანობის შესახებ). წინამდებარე შეთანხმებასა და კანონზე „ზოგადი განათლების შესახებ" (მუხლი4.4) დაყრდნობით სკოლაში სწავლება მიმდინარეობდა ფრანგულ ენაზე, ასევე ისწავლებოდა ქართული (როგორც მშობლიური და როგორც უცხო) ენა, საქართველოს ისტორია (ქართულად).

სასკოლო სასწავლო გეგმა - ფრანგული კურიკულუმი ეფუძნებოდა საფრანგეთის განათლების სამინისტროს პროგრამას, გამომდინარეობდა სკოლის მისიიდან და შეესაბამებოდა საქართველოს ეროვნულ სასწავლო გეგმას. სკოლაში ისწავლებოდა ყველა ის საგანი, რომელიც გათვალისწინებული იყო ორივე ქვეყნის განათლების სამინისტროს მიერ. სასწავლო გეგმა - ფრანგული კურიკულუმი გაწერილი იყო სამივე საფეხურისთვის, ეყრდნობოდა ევროპული ქვეყნებისთვის არსებული მიზნების, შედეგების, ინდიკატორებისა და უნარჩვევების საერთო ჩარჩოს. სასწავლო გეგმა მოიცავდა შემდეგ ნაწილებს: დაწყებითი საფეხური-დაწყებითი სკოლა, რომელიც იყო 5 წლიანი, საბაზო საფეხური-კოლეჯი, რომელიც იყო 4 წლიანი და საშუალო საფეხური-ლიცეუმი, რომელიც იყო 3 წლიანი. კავკასიის ფრანგულ სკოლაში იყენებდნენ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას. დაწყებით საფეხურზე შეფასება განმავითარებელი იყო. მოსწავლის შეფასება ხდებოდა წელიწადში 5-ჯერ, შეფასების სქემა ზედმიწევნით იყო გაწერილი. საბაზო და საშუალო საფეხურზე შეფასება განმსაზღვრელი იყო,

მოსწავლის აკადემიური მოსწრების შეფასება ხდებოდა 20 ბალიანი სისტემით. თითოეულ შეფასებას თან ახლდა მასწავლებლის განმავითარებელი კომენტარი და ბოლოს კლასის დამრიგებლის შემაჯამებელი განმავითარებელი კომენტარი. ყველა საფეხურზე მოსწავლის შეფასება კონფიდენციალური იყო. შეფასების სისტემას ახდა კონვერტირების მექანიზმი.

ექსპერტმა აღნიშნა, რომ როგორც სასკოლი სასწავლო გეგმა, ასევე მთლიანად სასკოლო გარემო იყო მოსწავლეზე ორიენტირებული და ყველანაირ პირობებს უქმნიდა თითოეულ მოსწავლეს სწავლისა და განვითარებისათვის. კავკასიის ფრანგული სკოლის შენობა მდებარეობდა მისამართზე: თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. N76ბ. შენობა 2011 წლის 01 თებერვლიდან 2021წლის 31 იანვრამდე იჯარით იყო გადაცემული ა(ა)იპ „კავკასიის ფრანგულს სკოლისათვის". შენობის საერთო ფართი იყო 8156,65 კვ.მ (მათ შორის სასარგებლო ფართი 4996,8 კვ.მ, საზაფხულო ფართი 1491,50 კვ.მ და სარდაფის ფართი 1698 კვ.მ). სკოლა აღჭურვილი იყო სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი სასწავლო რესურსით. სკოლას ასევე ჰქონდა სპორტის მეცადინეობისათვის საჭირო ინფრასტრუქტურა - ბასეინი, სპორტული მოედნები, 2 დარბაზი. მოსწავლეებს ჰქონდათ სპორტის სახეობების მრავალფეროვანი არჩევანი.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ, გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს კანონმდებლობით დაწყებითი საფეხური მოიცავდა 6 წელს, ეჭვი გამოთქვა, რომ ქართულ სკოლაში მობილობის დროს მე-5 კლასის დასრულების შემდგომ შესაძლოა მოსწავლეს შექმნოდა პრობლემა.

საბჭოს წევრი, რევაზ აფხაზავა დაინტერესდა, ამ საკითხზე სკოლას ჰქონდა თუ არა კონსულტაცია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტთან.

სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რამდენადაც სკოლა მსგავს პრობლემას აქამდე არ შეხვედრია, შესაბამისად, კონსულტაციის საჭიროება არ ყოფილა.

საბჭოს თავმჯდომარემ ცენტრს მიმართა, ჩაეტარებინა მოკვლევა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა მობილობის თაობაზე და სკოლის წარმომადგენლებს მიმართა რეკომენდაციით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტთან გადაემოწმებინათ მოსწავლეთა მობილობის შესაძლებლობა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებთან შეთანხმებით კენჭისყრაზე დააყენა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭომდე გადადების საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

საბჭოს გადაწყვეტილებით, ა(ა)იპ - კავკასიის ფრანგული სკოლის (ს/კ204517077) ავტორიზაციის საკითხის განხილვა გადაიდო შემდეგ საბჭოს სხდომამდე.

5. ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

5.1. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით ხარვეზი არ გააჩნდა. ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მიერ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში თვითშეფასების ანგარიშთან ერთად წარმოდგენილი იყო 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებული იყო გაძღოლის კონფერენციის 2017 წლის 7 ივლისის N20 გადაწყვეტილებით.

სასკოლო სასწავლო გეგმა და სასწავლო პროგრამები შემუშავებული იყო ერთი მხრივ ეროვნული სასწავლო გეგმის გათვალისწინებით, მეორე მხრივ კი თანამედროვე საქართველოს სოციოკულტურულ კონტექსტში ადაპტირებული ვალდორფის პედაგოგიკის პრინციპებზე დაყრდნობით.

დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პასუხი 21 ივნისის წერილზე, რომელიც შეეხებოდაა 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის განხორციელებას. ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის პასუხის თანახმად სკოლის მიერ წარმოდგენილი სასწავლო პროგრამა შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

ექსპერტის თქმით, სკოლაში პირველი კლასიდან ისწავლებოდა ორი უცხო ენა, გერმანული და ინგლისური. სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ სკოლის წარმომადგენელს

მიმართა, რამდენად ათვისებადი იყო ერთდროულად 2 უცხო ენა მოსწავლეებისთვის, რაზეც სკოლის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ სკოლა მიჰყვებოდა ვალდორფის პედაგოგიკას, მე-3 კლასამდე ხორციელდებოდა მხოლოდ უცხო ენების ზეპირი სწავლება.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ დამატებით კითხვები საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

5.2. ერქსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღი საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მდებარეობდა ქალაქ თბილისში, თოფურიას ქ. N2-ში (ს.კ. 01.14.04.022.010) და საკუთრებაში ფლობდა 5119 კვ.მ. მიწის ნაკვეთსა და მასზე განთავსებულ შენობა-ნაგებობებს N1, N2, N3, N4, N5, N7 საერთო ფართით 2271.58 კვ.მ, შენობა N10 საერთო ფართით 1086.38, ნაგებობებს N6, N8 და N9 საერთო ფართით 61.8 კვ.მ. შენობა-ნაგებობების საერთო ფართი შეადგენდა 3419.76 კვ.მ-ს. ამავე ამონაწერის მიხედვით, დაწესებულებაში არსებული შენობა-ნაგებობების 3419.76 კვ.მ. ფართიდან ა(ა)იპ - აღზრდის ხელოვნება თბილისის თავისუფალი ვალდორფის საბავშვო ბაღისთვის, ხუთწლიანი იჯარით გაცემული ჰქონდა შენობა N10-ში პირველ სართულზე 272.67 კვ.მ., მანსარდა 32.60 კვ.მ., შენობა N6-ში 18 კვ.მ. ფართი. აღნიშნულ ფართს ჰქონდა საკუთარი სველი წერტილები და სხვა დამხმარე ფართები. ეზოსა და შენობა-ნაგებობის სივრცე ისე იყო ორგანიზებული, რომ ხელი არ ეშლებოდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლა-სწავლების პროცესს.ვიზუალური დათვალიერებითა და მიწის ნაკვეთის საკადასტრო და შენობა-ნაგებობის აზომვითი ნახაზის მიხედვით შენობის ფართი ორგანიზებული იყო სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, კერძოდ, განთავსებული იყო 13 საკლასო ოთახი, უცხოური ენების, საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნების, მუსიკისა და მეზაღეობის კაბინეტები; კომპიუტერების, სამედიცინო, გახანგრძლივებული ჯგუფის, სადურგლოს, შრომის, თექის, ძერწვის, ხატვის, აკინძვისა და ხელგარჯილობის ოთახები; ცეკვის, სამკურნალო ევრითმიისა და სპორტის დარბაზები. ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, ბიურო (ადმინისტრაცია), ბუფეტი, დაცვა, სამრეცხაო, გასახდელი, დამლაგებლების ოთახები და სხვა დამხმარე ფართი. თითოეული საკლასო ოთახი დაახლოებით 40-50 კვ.მ. იყო და აღჭურვილი იყო სათანადო ინვენტარით, კერძოდ: ინდივიდუალური და ორადგილიანი მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით. სკოლის შენობაში განთავსებული იყო საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები. სამივე ლაბორატორია აღჭურვილი იყო შესაბამისი ინვენტარით. ლაბორატორიებში იყო სველი წერტილები. ქიმიის კაბინეტში დამონტაჟებული იყო გამწოვი.

სკოლას მიეწოდებოდა ელექტროენერგია, წყალი და ბუნებრივი აირი. შენობა თბებოდა ცენტრალური გათბობის სისტემით. საკლასო ოთახებს, კაბინეტებს, ოთახებს, დარბაზებს, დერეფნებს, სველ წერტილებსა და დამხმარე სხვა ფართებს ჰქონდათ ელექტროგაყვანილობა. თითოეულ საკლასო ოთახს ჰქონდა მინიმუმ ორი ფანჯარა და ბუნებრივი განათების შესაძლებლობა. შენობაში ყველა სართულზე განთავსებული იყო სველი წერტილები სკოლის თანამშრომლების, გოგონებისა და ვაჟებისათვის ცალ-ცალკე.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

5.3. ექსპერტ ნინო ფეტვიაშვილის განცხადებით, სკოლას ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ხარვეზი არ გააჩნდა. 2017-2018 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების უზრუნველსაყოფად, გაძღოლის კონფერენციის ოქმით განსაზღვრული იყო მასწავლებლები კლასებისა და სასწავლო საგნების შესაბამისად. მასწავლებლებს ჰქონდათ „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისი კვალიფიკაცია და სტატუსი. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ გაითვალისწინა მონიტორინგის დროს საბჭოსა და ექსპერტების რეკომენდაცია შესაბამისობაში მოეყვანათ მასწავლებელთა კვალიფიკაციის საკითხი, რის შედეგადაც რამდენიმე მასწავლებელი, რომელთაც არ უდასტურდებოდათ საგნობრივი კვალიფიკაცია, გავიდა საგნობრივი კომპეტენციის დამადასტურებელ გამოცდაზე. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წლის 10 აპრილს, 2017 წლის 3 აპრილის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წერილის საფუძველზე, რომელშიც დადასტურებული იყო მასწავლებელის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის თავსებადობა ა(ა)იპ თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების შეფასების სქემასთან, შეიკრიბა სკოლის მასწავლებლის შეფასების ჯგუფი. ჯგუფის შეხვედრის მიზანი იყო თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლის მასწავლებლთა განვითარების შეფასების ალტერნატიული სქემის ამოქმედება და სკოლაში ყველა მოქმედ მასწავლებლისთვის სტატუსის მინიჭება. აღნიშნული ალტერნატული სქემის მიხევით, სკოლაში ყველა მოქმედ მასწავლებელს მიენიჭა სტატუსი. აღნიშნული დოკუმენტიდან გამომდინარე, თითო მასწავლებელს სწავლების საგნის მიხედვით განესაზღვრა სტატუსი / სტატუსები. სკოლას ჰყავდა: 27 პრაქტიკოსი, 18 უფროსი და 4 წამყვანი მასწავლებელი. 2017 წლის 6 ივნისს თბილისის

თავისუფალი ვალდორფის სკოლამ მიმართა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნულ ცენტრს თხოვნით, რათა მათ დაედასტურებინათ სკოლის მიერ მასწავლებელთათვის მინიჭებული სტატუსები, რაზეც მიიღეს დადებითი პასუხი (2017 წლის 4 ივლისის წერილი).

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ დამატებითი კითხვები, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის გაცნობის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს, წარმოედგინა შუამდგომლობა, თუ რამდენით სურდა განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა, არსებული რესურსების გათვალისწინებით. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ არსებული რესურსებით მას შესაბამისი საგანმანათლებლო გარემოს შექმნა შეეძლო 460 მოსწავლისთვის. აღნიშნულ შუამდგომლობას დაეთანხმნენ ავტორიზაციის ექსპერტები.

საბჭომ იმსჯელა საგანმანათლებლო პროგრამების, მატერიალური და ადამიანური რესურსის სტანდარტებთან ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის შესაბამისობის საკითხზე და მიიჩნია, რომ დაკმაყოფილებულია ავტორიზაციის სტანდარტები. შესაბამისად, თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღის ავტორიზაციისა და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 460-ით განსაზღვრის საკითხი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 8

წინააღმდეგი - 0

**გადაწყვეტილება:**

,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად, ა(ა)იპ - თბილისის თავისუფალი ვალდორფის სკოლა-ბაღს (ს/კ: 203827083) 6 წლის

ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურების საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მიზნით და მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 460-ით.

## 6. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სხდომის მდივანს სთხოვა, რომ საქმის მასალები დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

6.1. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, დაწესებულებას მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით ხარვეზი არ გააჩნდა. შპს „ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემია" მდებარეობდა ქ. თბილისში, ზაზიაშვილის ქ. N1. დაწესებულება ერთსადაიმავე საკლასო ოთახებში, პირველ ცვლაში ახორციელებდა ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას, ხოლო მეორე ცვლაში პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობას. სკოლა განთავსებული იყო ექვსსართულიანი შენობის მეოთხე სართულზე საერთო ფართით 535 კვ.მ. იჯარის/ქირავნობის ხელშეკრულებების თანახმად არსებული ფართი 1 იურიდიული და 2 ფიზიკური პირისგან იყო აღებული. 2 ხელშეკრულების თანახმად ფართი გადაცემულია 2020 წლის 28 ოქტომბრის, ხოლო 1 ხელშეკრულების თანახმად 2021 წლის 19 დეკემბრის ჩათვლით. შპს „ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემია" (ს/კ 202065068) სხვადასხვა პერიოდში განსხვავებული სახელით ფუნქციონირებდა (შპს „ლიბერთი -პროფი", „იეპს-სქული", „ლიცეუმი პროფესიული კოლეჯი"), თუმცა ხელშეკრულებებში მოხსენიებულ დაწესებულებებს ერთი და იგივე საკადასტრო კოდი (202065068) ჰქონდა, რაც ადასტურებდა, რომ შპს „ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემია" მათი სამართალმემკვიდრე იყო. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია ხელშეკრულებების განახლებასთან და ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით.

სკოლაში იყო 7 საკლასო ოთახი, 1 ბიბლიოთეკა, 1 სამასწავლებლო, 2 ისტ-ის ოთახი, 2 საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის ოთახი, 1 ექთნის ოთახი, 1 დირექტორის კაბინეტი, 1 შეხვედრების ოთახი, 1 კანცელარიის ოთახი, 1 სამასწავლებლო და 1 ბუფეტი.

ვიზუალური დათვალიერების და შესყიდვის არსებული დოკუმენტაციის თანახმად, საერთო ჯამში სკოლის მფლობელობაში იყო 165 ერთადგილიანი და 17 ორადგილიანი მერხი, 226 სკამი, მასწავლებლის მაგიდები და დაფები. საკლასო ოთახებში განთავსებული იყო 154 ერთადგილიანი მერხი და სკამი, ლაბორატორიებში, ბიბლიოთეკაში, კომპიუტერების ოთახებში, შეხვედრების ოთახში განთავსებული იყო ასევე, მაგიდები და სკამები, სხვადასხვა თვალსაჩინოება, პროექტორი, მაგნიტოფონები.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები მატერიალურ რესურსთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

6.2. ექსპერტ ქეთევან ბოტკოველის განცხადებით, დაწესებულებას ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით ხარვეზი არ გააჩნდა. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიას ჰყავდა სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი.

ადმინისტრაციული და ტექნიკური პერსონალი ემსახურებოდა ორივე, როგორც ზოგადსაგანმანათლებლო, ასევე, პროფესიულ მიმართულებას. დირექტორი, დირექტორის მოადგილე ზოგადსაგანმანათლებლო დარგში, დირექტორის მოადგილე პროფესიული სწავლების დარში, დირექტორის მოადგილე საორგანიზაციო აღმზრდელობით დარგში, განათლების ხარისხის განვითარების მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, ფინანსური კონსულტანტი, მთავარი ბუღალტერი, მოლარე-ბუღალტერი, პროფესიული სწავლების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, პროფესიული სწავლების განყოფილების მდივანი-მეთოდისტი, საქმისმწარმოებელი, საინფორმაციო მენეჯერი, სამეურნეო ნაწილის კოორდინატორი, სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირი, წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის თანამშრომელი, დამლაგებელი.

2017-2018 სასწავლო წელს სკოლაში დასაქმებული იყო 13 პედაგოგი, მათ შორის, რამდენიმეს შეთავსებული ჰქონდა ადმინისტრაციული თანამდებობა. სკოლის ყველა თანამშრომლის კომპეტენცია შეესაბამებოდა დაკავებულ თანამდებობას. თითოეულ მათგანთან დადებული იყო ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებული იყო საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სკოლაში ამჟამად ირიცხებოდა 70 მოსწავლე. მიმდინარეობდა მეათე კლასის მოსწავლეთა მიღება.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით, რაზეც საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

6.3. საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, ექსპერტმა იანინა გიგიბერიამ განაცხადა, რომ დაწესებულებას ხარვეზი არ გააჩნდა. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულმა აკადემიამ წარმოადგინა 2017-2018 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც განხილული იყო პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე (04.09.2017, ოქმი N 1) და დამტკიცებული იყო დირექტორის მიერ (04.09.2017, ბრძანება N2ს-82).

სასკოლო სასწავლო გეგმა შემუშავებული იყო ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე და განსაზღვრავდა ამ დოკუმენტით გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ დამატებით საგანმანათლებლო მომსახურებას.

სკოლაში სწავლა მიმდინარეობდა მხოლოდ მესამე საფეხურზე (საშუალო საფეხურზე).

კათედრები საგნობრივ ჯგუფებში აერთიანებდა ყველა მასწავლებელს. შემუშავებული იყო კათედრების ხელმძღვანელების მოვალეობები, სამოქმედო გეგმები და პროგრამები. მასწავლებლები აწარმოებდნენ საქაღალდეებს, რომლებშიც ინახებოდა პირადი მონაცემები, თემატური გეგმები საგნებისა და საფეხურების მიხედვით და სხვა სამუშაო დოკუმენტაცია. თემატური გეგმები შესაბამისობაში იყო ეროვნულ სასწავლო გეგმასთან.

პედაგოგთა პორტფოლიოებში წარმოდგენილი იყო შემაჯამებელი სამუშაოების ნიმუშები, შესაბამისი მიზნებითა და სტანდარტით განსაზღვრული შედეგებით. შესრულებული დავალებების ანალიზის შედეგად გამოკვეთილი იყო ძლიერი და სუსტი მხარეები, შემუშავებული იყო რეკომენდაციები პრობლემების გადასაჭრელად, დაკონკრეტებული იყო ის უნარ-ჩვევები, რომელთა განვითარებაზე მუშაობის საჭიროება გამოიკვეთა გაანალიზების შედეგად.

კათედრების პორტფოლიოებში წარმოდგენილი იყო სხდომის ოქმები, შესრულებული სამუშაოს ანალიზი, ასევე, შემაჯამებელი სამუშაოების ანალიზი, რაც აძლევდა კათედრის წევრებს საშუალებას დაეგეგმათ სათანადო აქტივობები ან აემაღლებინათ კომპეტენციები.

სკოლას არჩევით საგნად შეთავაზებული ჰქონდა: „მეწარმეობის საფუძვლები“ - X კლასი, „ეკონომიკა და სახელმწიფო“- XI კლასი, „სამედიცინო ბიოლოგია და ჯანმრთელობა“ - XII კლასის

I სემესტრი. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად სპორტის სახეობად არჩეული იყო ფეხბურთი, სპორტული ტანვარჯიში, აღმოსავლური ორთაბრძოლები. დამატებითი მომსახურების სახით სკოლა სთავაზობდა მოსწავლეებს ინფორმატიკის წრეს. დაწესებულება მოსწავლეებს სთავაზობდა პროფესიულ საგანმანათლებლო მომსახურებას ოთხი პროგრამის ფარგლებში (ბუღალტერი, კრიმინალისტი, ინტერნეტტექნოლოგი (ვებ სპეციალისტი) და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი. საშუალო საფეხურის მოსწავლეებს ჰქონდათ საშუალება შეღავათიან ფასებში მიეღოთ პროფესიული განათლება სურვილის შემთხვევაში. ექსპერტმა იანინა გიგიბერიამ აღნიშნა, რომ რადგანაც დაწესებულება ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობასთან ერთად ახორციელებდა პროფესიულ საგანმანათლებლო საქმიანობას, საავტორიზაციო ვიზიტზე ასევე იმყოფებოდა ავტორიზაციის ექსპერტი მიხეილ სამხარაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ კითხვები სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, საბჭოს წევრებმა უპასუხეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

6.4. ექსპერტ მიხეილ სამხარაძის თქმით, შპს ,,ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართული აკადემიამ" ვიზიტის პერიოდში წარმოადგინა ოთხი მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: „ბუღალტერი", „ინტერნეტტექნოლოგი (ვებ სპეციალისტი)", „კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)" და „ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი".

შპს "ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემიის" დირექტორის 2017 წლის 14 მარტის N2/ს-16 ბრძანებით „საგნობრივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის სილაბუსების შემუშავების ინსტრუქციის და მათი ფორმების დამტკიცების შესახებ" განსაზღვრული იყო, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, მასში ცვლილებების შეტანის და დამტკიცების პროცედურები. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით შემუშავებული პროგრამა განსახილველად წარედგინებოდა პედსაბჭოს, ხოლო დასამტკიცებლად - დაწესებულების ხელმძღვანელს. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროგრამები დამტკიცებული იყო ზემოაღნიშნული პროცედურის მიხედვით, შპს "ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემიის" დირექტორის 2017 წ 21 აგვისტოს N2/ს-72 ბრძანებით, რის საფუძველსაც წარმოადგენდა 2017 წლის 21 აგვისტოს პედაგოგიური საბჭოს სხდომის N7 ოქმი. შპს "ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართულ აკადემიას" გარდა ზემოაღნიშნული ოთხი პროგრამისა, სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარში განხორციელების უფლების

მოპოვებასთან დაკავშირებით, ასევე განსაზღვრული ჰქონდა ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული "ბანკის მოლარე-ოპერატორის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. თუმცა დაწესებულებამ აღნიშნული პროგრამა გაუქმებული ჰქონდა დირექტორის, 2017 წლის 17 აგვისტოს N2/ს-69 ბრძანებით - დაწესებულების 2016 წლის 20 ივნისის N2/ს-47 ბრძანებით "შპს ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართულ აკადემიაში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის "ბანკის მოლარე ოპერატორი"-ს დამტკიცება" გაუქმების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით "ბანკის მოლარე-ოპერატორის" პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების მთავარ საფუძველს წარმოადგენდა „სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 7 აგვისტოს N483 ბრძანება - ცენტრის დირექტორის 2015 წლის 28 ივლისის N536 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომლის მიხედვითაც 2018 წლის 27 ივლისიდან აღნიშნული ჩარჩო დოკუმენტი უქმდებოდა. დაწესებულების წარმომადგენლებმა ასევე განმარტეს, რომ ცენტრთან გაიარეს კონსულტაციები და ვინაიდან აღნიშნულ პროგრამაზე არ ჰყოლიათ ჩარიცხული სტუდენტები, პროგრამა გააუქმეს.

„ბუღალტრის", „ინტერნეტტექნოლოგის (ვებ სპეციალისტი)", „კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი)" და „ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში განსაზღვრული იყო პროგრამის მიზნები, მოცულობა, სწავლის შედეგები, შეფასების სისტემა, კვალიფიკაცია და კრედიტების რაოდენობა, რომელიც თანხვედრაში იყო შესაბამის პროფესიულ სტანდარტებთან. ყველა პროგრამაში მითითებული იყო პროგრამის ხელმძღვანელი და პროგრამის განმახორციელებლები. აღნიშნულ პროგრამებზე გარდა პროფესიული სტანდარტით გათვალისწინებული წინაპირობებისა, დაწესებულებას დამატებით ჰქონდა მითითებული, რომ კონკურსის შემთხვევაში პრიორიტეტები განისაზღვრებოდა საბაზო განათლების სასკოლო შეფასებებით მათემატიკაში.

ვიზიტის დროს ექსპერტმა დააფიქსირა ტექნიკური ხასიათის შეცდომა დაწესებულების მიერ დამტკიცებულ მესამე საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ბუღალტერი" პროფესიული განათლების საფეხურის განყოფილებაში სწორად იყო მითითებული მე-3 საფეხური, მაგრამ პირველ გვერდზე მესამე საფეხურის ნაცვლად ეწერა პირველი საფეხური.

თითოეულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში იყო სწავლის შედეგების რუკა და სასწავლო გეგმები, სადაც მითითებული იყო საგნების და მათი კრედიტების რაოდენობა, საკონტაქტო საათები (ლექცია; სემინარი/პრაქტიკული/ლაბორატორიული მუშაობა; შუალედური

და დასკვნითი გამოცდები), დამოუკიდებელი საათები, სასწავლო და საწარმოო პრაქტიკებისთვის გამოყოფილი საათები. ასევე, თითოეული პროგრამისთვის, განსაზღვრული იყო საერთო დატვირთვის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის პროცენტული განაწილება, რაც შეესაბამებოდა პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტით განსაზღვრულ პროცენტულობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების "ბუღალტერი" და „კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)" პრაქტიკის კომპონენტი შეადგენდა საერთო დატვირთვის 40%-ს, ხოლო დარჩენილი 60% იყო თეორიული ნაწილი, რომელიც შედგებოდა სემინარის, პრაქტიკული და ლაბორატორიული სამუშაოებისგან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების „ინტერნეტტექნოლოგი (ვებ სპეციალისტი)" და „ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი" შემთხვევაში პრაქტიკული კომპონენტი მოიცავდა საერთო დატვირთვის 60%-ს, თეორიული ნაწილი კი 40%-ს.

უნდა აღინიშნოს, რომ სასწავლო გეგმებში ყოველკვირეული დატვირთვა მითითებული იყო მხოლოდ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში „ბუღალტერი. "ინტერნეტტექნოლოგის", "კრიმინალისტის" და "ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის" პროგრამების სასწავლო გეგმებში კი ყოველკვირეული დატვირთვა არ ჩანდა. თუმცა, აღნიშნული პროგრამებისთვის, საგნების სილაბუსები გაწერილი იყო კვირების მიხედვით, ხოლო თითოეული კვირისთვის მითითებული იყო საკონტაქტო საათების რაოდენობა, რაც ყოველკვირეული დატვირთვის განსაზღვრის საშუალებას იძლეოდა. პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა არცერთ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე არ აღემატებოდა 40 აკადემიურ საათს.

შპს „ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემიის" დირექტორის 2017 წლის 22 აგვისტოს N2/ს-76 ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული სწავლების განყოფილების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში" გაწერილი იყო პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების და კრედიტების მიღება/დაგროვების წესი. წესის მიხედვით ერთი კრედიტი შეადგენდა 25 ასტრონომიულ საათს, ლექციის ხანგრძლივობა განისაზღვრებოდა 50 წუთით , დასვენების დრო კი შეადგენდა 10 წუთს.

„პროფესიული სწავლების განყოფილების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში" ასევე განსაზღვრული იყო, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები იყოფოდა სასწავლო ეტაპებად ან სემესტრებად, რაც უზრუნველყოფდა პროგრამების თანმიმდევრულ სტრუქტურას.

**ცხრილში 1.1** ასახული იყო ინფორმაცია დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ეტაპების, კრედიტების და პროგრამის მოცულობის (სასწავლო კვირები) შესახებ. აღსანიშნავი იყო, რომ ეტაპებად (სემესტრების) დაყოფის პრინციპი ეფუძნებოდა პროგრამის შემადგენელი საგნების კრედიტების რაოდენობას/ხანგრძლივობას.

ცხრილი 1.1

| N | პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა | კრედიტი | სასწავლო კვირა | ეტაპების (სემესტრების) რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1 | ბუღალტერი | 45 | 65 | 3 |
| 2 | ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) | 65 | 76 | 2 |
| 3 | კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი) | 60 | 65 | 2 |
| 4 | ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი | 45 | 60 | 1 |

2015 წლის 27 ივნისს „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №15, 23.04.2007) შეტანილი ცვლილებების მიხედვით, დაწესებულებებს პროფესიული სტანდარტით შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების (საგნობრივი) განხორციელების უფლება ჰქონდათ 2019 წლის 1 იანვრამდე. ასევე დაწესებულების მიერ დამტკიცებულ „პროფესიული სწავლების განყოფილების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში“ განსაზღვრული იყო, რომ საგნობრივ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლა უნდა დასრულებულიყო არაუგვიანეს 2018 წლის 15 დეკემბრისა.

დაწესებულების მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების: „ბუღალტერი“, „ინტერნეტტექნოლოგი (ვებ სპეციალისტი)“, „კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)“ და „ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტი“ მოცულობის გათვალისწინებით, ახალი ჯგუფების მიღების შემთხვევაში, აღნიშნული პროგრამების დასრულება ვერ ესწრებოდა 2019 წლის 1 იანვრამდე, რაც შეუსაბამობაში მოდიოდა როგორც კანონთან "პროფესიული განათლების შესახებ", ასევე დაწესებულების მიერ განსაზღვრულ ვადებთან.

აღნიშნულთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენლებმა ექსპერტებს განუმარტეს, რომ მათ ჰყავდათ 2016 წელს ჩარიცხული მოქმედი სტუდენტები მოცემულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომელთა სწავლის დასრულების თარიღი არ ცდებოდა 2018 წლის 15 დეკემბერს და ექსპერტებს წარუდგინეს შპს "ყოვლადწმინდა სამების სახელობის ქართული აკადემიის" დირექტორის 2016 წლის 12 ოქტომბრის N2/ს-81 ბრძანებით დამტკიცებული „სასწავლო კალენდარი (განრიგი)“. დოკუმენტის მიხედვით ზემოაღნიშნულ პროგრამებზე არსებული ჯგუფები სწავლას ასრულებდნენ 2018 წლის 31 ივლის . დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ახალი ჯგუფების მიღებასთან დაკავშირებით დაწესებულება გეგმავდა სასწავლო გეგმის შეკუმშვას ყოველკვირეული დატვირთვის გაზრდის ხარჯზე, რაც მათ საშუალებას მისცემდა სწავლის დასრულება მოესწროთ 2018 წლის 15 დეკემბრამდე, როგორც ეს „პროფესიული სწავლების განყოფილების სასწავლო პროცესის მარეგულირებელ დებულებაში“ ჰქონდათ განსაზღვრული. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნულ პროგრამებში, თითოეული სემესტრის ყოველკვირეული დატვირთვა არ აღემატებოდა 17 საათს, სასწავლო გეგმების შეკუმშვა შესაძლებელი იყო.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ კითხვები, რაზეც საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ კითხვები არ ჰქონდათ.

სხდომის თავმჯდომარემ, გრიგოლ მურღულიამ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, რამდენით სურდათ განსაზღვრულიყო მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა მიუგო, რომ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამაზე სურდათ 130 მოსწავლით ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა, ხოლო პროფესიულ პროგრამებზე 100 - ით, ჯამში 230 ადგილი.

**კენჭისყრის შედეგები:**

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 2

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე - 11 მუხლის მე - 2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე - 12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების მე - 13 მუხლისა და 24 - ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიას (ს/კ202065068) 6 წლის ვადით მიენიჭოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მიზნით, ასევე, ბუღალტრის, ინტერნეტტექნოლოგის (ვებ სპეციალისტი), „კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტი) და ფარმაცევტული პრეპარატების წარმოების სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილება. შპს ყოვლადწმიდა სამების სახელობის ქართულ აკადემიას მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230 - ით, მათ შორის საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამისთვის 130 - ით, ხოლო პროფესიული პროგრამისთვის 100 - ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ 16:00 საათზე სხდომა დახურულად გამოცხადდა.

**თავმჯდომარე**

გრიგოლ მურღულია

**მდივანი**

თამარ ფხალაძე